



სქესზე დაფუძნებული ძალადობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების მიმართ

პირკო მაჭლამაკი

(ხელოვნების მაგისტრი, სამართლის მაგისტრი), 2000 წლიდან არის ფინეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშ) პირთა ფორუმის გენერალური მდივანი. იგი გახლავთ ევროპის ქალთა ლობის საბჭოს წევრი და 2018 წელს დაინიშნა აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. როგორც ფინეთის არადისკრიმინაციული და თანასწორობის ტრიბუნალის ნაწილი (2015-2019 წწ.), იგი იყო ფინეთის დელეგაციის მრჩეველი წევრი გაერთიანებული ერების ad hoc კომიტეტში, რომელმაც მოამზადა საერთაშორისო კონვენცია შშმ პირთა უფლებების შესახებ. იგი აგრძელებს შეზღუდული შესაძლებლობისა და გენდერული აქტივიზაციის ხელშეწყობას, შშმ პირთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ფინურ, სკანდინავიურ, ევროპულ და საერთაშორისო ქსელებში, ცდილობს სამოქალაქო საზოგადოებრივი აქტივიზმის გაერთიანებას ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის საქმეში.

სქესზე დაფუძნებული ძალადობის (GBV) არსის და გენდერულ უთანასწორობასთან მისი კავშირის წარმოჩენის მიზნით, ევროპის პროგრესული კვლევების ფონდმა (FEPS) და ჟან ჟორესის (Jean Jaurès) ფონდმა გააერთიანეს ძალები პუბლიკაციების ამ სერიისთვის სექსისტური და სექსუალური ძალადობის აღმოსაფხვრელი ბრძოლის შესახებ. თითოეულ პუბლიკაციაში განიხილილია GBV სხვადასხვა კუთხით, აღიარებს რა სქესის კვეთას სხვა ისეთ დისკრიმინაციებთან, როგორცაა სექსუალობა, შეზღუდული შესაძლებლობა ან ეკონომიკური სტატუსი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალები შეადგენენ მოსახლეობის ნახევარს. მაგრამ იცოდით, რომ 16%-ს აქვს შეზღუდული შესაძლებლობა სულ მცირე ერთი ფორმა მაინც? ევროკავშირი (EU) კონკრეტულად ითვლის 60 მილიონ შშმ ქალსა და გოგონას, რაც შეესაბამება იტალიის მთლიან მოსახლეობას. მიუხედავად იმისა, რომ ქალები გენდერული უთანასწორობის ან სექსიზმის გამო მნიშვნელოვან ბარიერებს აწყდებიან, შშმ ქალები უთანასწორობის მრავალფეროვანი და ურთიერთმკვეთი ფორმების წინაშე დგანან. ეს ეხება ცხოვრების ყველა ასპექტს, მათ შორის

სოციალურ-ეკონომიკური დისკრიმინაციის, სოციალურ იზოლაციის, საზოგადოებრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობის, უხარისხო საცხოვრებელი პირობების ან ჯანდაცვის, სოციალურ აქტივობებში აქტიური წვლილის შეტანის შეუძლებლობის, ასევე გენდერულ ძალადობის, იძულებითი სტერილიზაციის და აბორტის ჩათვლით. არსებული მონაცემები მიუთითებენ, რომ გენდერული ძალადობა გაცილებით მეტ გავლენას ახდენს შშმ ქალებსა და გოგონებზე, სხვა ქალებთან შედარებით. შეზღუდული შესაძლებლობა არ იცავს და არ ახდენს ქალებზე ძალადობის პრევენციას. საბოლოოდ უნდა დაირღვეს ამ საკითხთან დაკავშირებული ტაბუ და დუმილი. უნდა მოვუსმინოთ ქალებს და მათ მრავალფეროვან გამოცდილებას. ჩვენ გვჭირდება უკეთესი თანამშრომლობა იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმოადგენენ შშმ ქალებსა და გოგონებს, რათა უკეთ გაეცნონ პოლიტიკას და კანონმდებლობას, მათ შორის მსხვერპლთა მხარდაჭერის სისტემებსა და მართლმსაჯულებას.

ძალადობა ქალის მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალია

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მათ შორის CEDAW-ის მიერ შემოთავაზებული (კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ) საეტაპო ჩარჩოს ჩათვლით⁴, ქალების დისკრიმინაცია მოიცავს სქესზე დაფუძნებულ ძალადობას, რომელიც მიმართულია ქალის მიმართ, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალია ან როდესაც არაპროპორციულად მოქმედებს ქალებზე და, როგორც ასეთი, წარმოადგენს მათი ადამიანური უფლებების დარღვევას. CEDAW აკრონიმის გამოყენება იმდენად ნაცნობია გენდერული თანასწორობის აქტივისტებისთვის, რომ კარგი იქნებოდა გავჩერდეთ და ხმამაღლა წავიკითხოთ ის, რაც გაერომ 40 წლის წინ დაადგინა და დაფიქრდეთ იმაზე, თუ რამდენად შორს უნდა წავიდეთ, ვიდრე არ მივალწევთ საბოლოო მიზანს და არ აღმოვფხვრით ქალების დისკრიმინაციის ყველა ფორმას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი ქალები არიან.

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ - რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც CEDAW - მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. იგი ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება. კონვენციის მეათე წლისთავისთვის, 99 ქვეყანა შეთანხმდა აღნიშნული დებულებების დაცვაზე. ეს იყო ქალთა სტატუსის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის ოცდაათ წლიანი მუშაობის კულმინაცია, რომელიც შეიქმნა 1946 წელს ქალთა მდგომარეობის მონიტორინგისა და ქალთა უფლებების ხელშეწყობისთვის. კომისიის მუშაობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ნათელი მოჰფინა ყველა იმ სფეროს, სადაც ქალები არ არიან მამაკაცებთან თანასწორნი. ქალთა პროგრესირებისთვის ამ ძალისხმევამ წარმოშვა რამდენიმე დეკლარაცია და კონვენცია, რომელთაგან CEDAW წარმოადგენს ძირითად და ყოვლისმომცველ დოკუმენტს. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო შეთანხმებებს შორის, კონვენცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს კაცობრიობის ქალების ნახევრის ყურადღების მიპყრობის საქმეში ადამიანთა უფლებების პრობლემების მიმართ. კონვენციის სულისკვეთება ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს: ხელახლა გაამყაროს რწმენა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, ადამიანთა ღირსებისა და ღირებულებების, მამაკაცისა და ქალის თანაბარი უფლებების მიმართ. წინამდებარე დოკუმენტი ასახავს თანასწორობის მნიშვნელობას და მისი

მიღწევის გზებს. ამგვარად, კონვენცია ადგენს არა მხოლოდ ქალთა უფლებების საერთაშორისო კანონპროექტს, არამედ ქვეყნების მოქმედების დღის წესრიგს ამ უფლებებით გარანტირებული სარგებლობისთვის. თავის პრეამბულაში კონვენცია ცალსახად აღიარებს, რომ „ქალთა მიმართ ფართო დისკრიმინაცია გრძელდება“ და ხაზს უსვამს, რომ მსგავსი დისკრიმინაცია „არღვევს უფლებების თანასწორობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის პრინციპებს“. როგორც პირველ მუხლშია განსაზღვრული, „ქალების დისკრიმინაცია“ ნიშნავს „ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისს ან შეზღუდვას, გენდერულ საფუძველზე, რომლის მიზანია აღიარების, უფლების გამოყენების ან განხორციელების გაბათილება ან შესუსტება ქალების მიერ, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საფუძველზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო თუ სხვა სფეროებში“.

ძალადობა ქალის მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

არსებობს ძლიერი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ შშმ ქალები და გოგონები აწყდებიან ბარიერებს ცხოვრების უმეტეს სფეროებში. აღნიშნული ბარიერები ქმნიან შშმ ქალებისა და გოგონების დისკრიმინაციის მრავალჯერად და ურთიერთ-გადამკვეთ ფორმებს, განსაკუთრებით განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის, ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის, სოციალურ ჩართულობაზე ხელმისაწვდომობის, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და კანონის წინაშე თანაბარი აღიარების, პოლიტიკური მონაწილეობის და საკუთარი ცხოვრების კონტროლის უნარის კუთხით სხვადასხვა კონტექსტში.

ძალიან ხშირია ძალადობა შშმ ქალებზე, თუმცა ნელ-ნელა ხდება იმის აღიარება, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ იცავს ქალს გენდერული ძალადობისაგან. სინამდვილეში, ძალადობის ეს ფორმა უფრო სავარაუდოა, როგორც ამას მონაცემები მოწმობენ.

- შშმ ქალები და გოგონები 2-5-ჯერ უფრო ხშირად ხდებიან მსგავსი ძალადობის მსხვერპლნი, ვიდრე ქალები და გოგონები შეზღუდული შესაძლებლობის გარეშე;
- ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე 10 ქალიდან 6 აცხადებს სექსუალურ ძალადობის შესახებ;
- ჯანმრთელობის პრობლემის ან შშმ ქალების 34%-ს ცხოვრების მანძილზე განუცდია ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან;
- შშმ ქალების სტერილიზაცია მათი ცოდნის ან თანხმობის გარეშე ძალადობის ფართოდ გავრცელებული ფორმაა, რომელიც განსაკუთრებით ეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, როგორცაა ბოშა ქალები.

განსაკუთრებით დაუცველ მდგომარეობაში არიან ინსტიტუციებში მცხოვრები შშმ ქალები. მათი დაცვისთვის საჭიროა დამატებითი ზომების მიღება, როგორცაა საკანონმდებლო და პროცედურული ცვლილებები, რათა უკეთ უზრუნველყონ მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში, შშმ პირთა უფლებების შესახებ და შშმ გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, ხაზგასმულია გაზრდილი რისკები, რომლებსაც ისინი

ხვდებიან. შშმ ბავშვები თითქმის ოთხჯერ უფრო ხშირად განიცდიან ძალადობას, ვიდრე არა შშმ ბავშვები. რისკი მუდმივად მაღალია ყრუ, უსინათლო, აუტისტი გოგონების, ფსიქო-სოციალური, ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე გოგონების და უსინათლო/მცირემხედველი გოგონების შემთხვევაში. „როდესაც სექსუალურ ძალადობას გადარჩენილები, ატყობინებენ ძალადობის შესახებ ან სთხოვენ დახმარებას თუ დაცვას სასამართლო ან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან, მათი ჩვენება, განსაკუთრებით ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე გოგონებისა და ქალების, როგორც წესი, არ მიიჩნევა სანდოდ და, შესაბამისად, მათ უგულებელყოფენ, როგორც კომპეტენტურ მოწმეებს, რის შედეგადაც დამნაშავეები გაურბიან სამართლებრივ დევნას“.

უფრო მეტიც, ხელმისაწვდომობისა და გონივრული და პროცედურული შეთანხმების არარსებობა (მაგ. ჟესტების ენის ინტერპრეტაცია, კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმები, მხარდაჭერის სერვისები ასაკის და სქესის გათვალისწინებით) ხშირად ქმნის სერიოზულ ფიზიკურ და კომუნიკაციურ ბარიერებს მართლმსაჯულების სისტემაში, რაც თავის მხრივ აფერხებს შშმ გოგონებისა და ახალგაზრდა ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას და მათ შესაძლებლობას, მოიძიონ და მიიღონ კომპენსაცია. როგორც ხაზგასმულია გაეროს მოხსენებაში (პუნქტი 37) ცრურწმენებისა და სტერეოტიპების გამო, სასამართლოები ჩვეულებრივ მნიშვნელობას არ ანიჭებენ შშმ გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების ჩვენებებს სექსუალური ძალადობის შესახებ, ეკითხებიან, აცნობიერებენ თუ არა ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე გოგონები და ახალგაზრდა ქალები ფიცის მნიშვნელობას ბრმა მოწმეების ჩვენების დისკრედიტაციის დადასტურებისას, ვინაიდან მათ „არ შეუძლიათ“ იცოდნენ/აღიქვან მოვლენათა თანმიმდევრობა“.

2017 წელს ევროპულმა შშმ პირთა ფორუმმა და CERMI ფონდმა გამოაქვეყნეს ანგარიში, რომელიც მოითხოვდა შშმ ქალებისა და გოგონების იძულებითი სტერილიზაციის შეწყვეტას. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის 39-ე მუხლი იძულებითი სტერილიზაციის შესახებ განსაზღვრავს, რომ ქირურგიული ჩარევა, რომელიც წყვეტს ქალის ბუნებრივი გამრავლების უნარს მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე, წარმოადგენს დანაშაულს.

მრავალჯერადი დისკრიმინაცია დამახასიათებელია იმ სიტუაციებისთვის, როდესაც ადამიანი განიცდის დისკრიმინაციას ორი ან მეტი ნიშნის გამო. ინტერ-სექციური დისკრიმინაცია გულისხმობს სიტუაციას, როდესაც მუშაობს რამდენიმე საფუძველი და ისინი ურთიერთ-ქმედებენ ერთმანეთთან ერთდროულად იმგვარად, რომ ქმნიან მთლიანობას. დისკრიმინაციას აქვს მრავალი ფორმა, რომელთაგან ზოგიერთის ამოცნობა და მასთან ეფექტური ბრძოლა ძალიან რთულია. ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, კერძოდ, ევროკავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, ჩვეულებრივ განასხვავებს:

- პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაცია,
- ასოციაციური დისკრიმინაცია,
- გონივრული შეთანხმების უარყოფა,
- სტრუქტურული და სისტემური დისკრიმინაცია.

პირდაპირი დისკრიმინაცია ხდება მაშინ, როდესაც შშმ ქალებს ექცევიან ნაკლებად კეთილგანწყობილად, ვიდრე მსგავს სიტუაციაში მყოფ სხვა პირებს, მათ შეზღუდულ შესაძლებლობასთან, სქესთან ან სხვა აკრძალულ ჯგუფთან დაკავშირებული მიზეზის გამო. მაგალითად, ეს ხდება მაშინ, როდესაც ინტელექტუალური ან ფსიქო-სოციალური შეზღუდვის მქონე ქალების ჩვენებები სასამართლო პროცესიდან უგულვებელყოფილია მათი ქმედუნარიანობის საფუძველზე, რითაც მათ, როგორც ძალადობის მსხვერპლს, უარს ეუბნებიან სამართლიანობასა და ეფექტურ საშუალებებზე.

არაპირდაპირი დისკრიმინაცია ნიშნავს იმას, რომ კანონი, პოლიტიკა ან პრაქტიკა ნეიტრალურად გამოიყურება, მაგრამ არაპროპორციულად უარყოფით გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე. მაგალითად, ჯანდაცვის დაწესებულებები შეიძლება გამოიყურებოდეს ნეიტრალურად, მაგრამ არ გააჩნდეს სათანადო გასასინჯი საწოლები გინეკოლოგიური სკრინ ინგისთვის. **ასოციაციასთან დაკავშირებული დისკრიმინაცია** ეხება შშმ პირთან მჭიდრო კავშირში მყოფ პირს, რომელიც დისკრიმინირებულია ამ ასოციაციის გამო. ხშირად წარმოიქმნება ასოციაცია მხარდამჭერის როლის მქონე ქალებისთვის. მაგალითად, შშმ ბავშვის დედა შეიძლება იყოს დისკრიმინირებული პოტენციური დამსაქმებლის მხრიდან, რომელიც თვლის, რომ დედა იქნება დაკავებული შვილის გამო. **გონივრული ადაპტაციის უარყოფა** არის დისკრიმინაცია, თუ საჭირო და სათანადო ცვლილებები და კორექტივები (რომლებიც არ აკისრებენ არაპროპორციულ ან ზედმეტ ტვირთს) უარყოფილია და საჭიროა შშმ ქალების უზრუნველყოფა სხვათა თანაბარი ადამიანის უფლებებით ან ფუნდამენტური თავისუფლებით (CRPD). მაგალითად, შშმ ქალს შეიძლება უარი უთხრან გონივრულ შეთანხმებაზე, თუ იგი არ გაიკეთებს მამოგრავიას ჯანმრთელობის ცენტრში, არსებული გარემოს ფიზიკური მიუწვდომლობის გამო.

სტრუქტურული ან სისტემური დისკრიმინაცია ნიშნავს დისკრიმინაციული ინსტიტუციური ქცევის ფარულ ან აშკარა ნიმუშებს, დისკრიმინაციულ კულტურულ ტრადიციებს, სოციალურ ნორმებს და/ან წესებს. მაგნი გენდერულმა და შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულმა სტერეოტიპებმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი დისკრიმინაცია, რაც განუყოფლად არის დაკავშირებული პოლიტიკის, რეგულაციის და სერვისების მიწოდების ნაკლებობასთან, რაც განსაკუთრებულია შშმ ქალებისთვის. მაგალითად, სქესის და შეზღუდული შესაძლებლობის ურთიერთკვეთაზე დაფუძნებული სტერეოტიპების გამო, შშმ ქალებს შეიძლება შეხვდეთ ბარიერები ძალადობის შესახებ მოხსენებისას, როგორცაა უნდობლობა და სამსახურიდან გათავისუფლება პოლიციის, პროკურატურის და სასამართლოს მიერ. ანალოგიურად, მაგნი პრაქტიკა მჭიდრო კავშირშია და აძლიერებს სოციალურად შექმნილ გენდერულ როლებს და ძალაუფლების ურთიერთობებს, რაც შეიძლება ასახავდეს შშმ ქალებთან მიმართებაში ნეგატიურ აღქმას ან დისკრიმინაციულ შეხედულებებს, როგორცაა რწმენა, რომ HIV/AIDS-ით დაავადებული მამაკაცები შეიძლება განიკურნონ შშმ ქალებთან სქესობრივი კავშირით. ცოდნის და პოლიტიკის ნაკლებობა, რათა აღკვეთილ იქნას შშმ ქალებში მაგნი

სტერეოტიპების ჩამოყალიბება საჯარო მოხელეების მიერ, იქნებიან ისინი მასწავლებლები, ჯანდაცვის მუშაკები, პოლიციელები, პროკურორები, მოსამართლეები და ზოგადად საზოგადოება, ხშირად იწვევს უფლებების დარღვევის ინდივიდუალურ შემთხვევებს.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ სტრუქტურულ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას და გავითვალისწინოთ საზოგადოებაში არსებული ძალა უფლებრივი ურთიერთობები. წარმატების მისაღწევად, ყურადღება უნდა გამახვილდეს თვითმყოფადი თანასწორობის მიღწევაზე. თვითმყოფადი თანასწორობა აღიარებს, რომ „განსხვავებების დილემა“ საჭიროებს ადამიანთა შორის განსხვავებების იგნორირებას და აღიარებას დე ფაქტო თანასწორობის მისაღწევად.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო შეთანხმებაში ბოლო დრომდე შეზღუდული შესაძლებლობა ხშირად არ იყო აღიარებული დისკრიმინაციის აკრძალულ საფუძვლად. **გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD) 2006 წლის დეკემბერში** ერთხმად იქნა მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ და ძალაში შევიდა 2008 წლის მაისში.

აღნიშნული კონვენცია გაეროს ხელშეკრულებებს შორის ყველაზე რატიფიცირებულია. გამონაკლისის სახით, ევროკავშირიც შეუერთდა მას 2010 წლის დეკემბერში, როგორც რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაცია. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ადამიანის უფლებათა შეთანხმება რატიფიცირებულია რეგიონალური ორგანოს მიერ. ეს ასევე არის ადამიანის უფლებათა დაცვის პირველი საერთაშორისო შეთანხმება, რომლის მხარეც ევროკავშირია.

CRPD, მრავალმხრივ, ახალ შესაძლებლობებს ქმნის შშმ ქალებისა და გოგონების, მამაკაცებისა და ბიჭების უფლებებისთვის. იგი ახდენს პარადიგმის მნიშვნელოვან დაცილებას სამედიცინო მოდელისგან (ფოკუსირებულია შეზღუდვაზე და ცდილობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის „განკურნებას“ ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს „ნორმას“), შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელისკენ, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობა არის პიროვნებას და საზოგადოებაში არსებულ ბარიერებს შორის ურთიერთქმედების შედეგი. ეს ორი მოდელი დაემატა ადამიანის უფლებათა მოდელს, რომელიც აღიარებს იმ ფაქტს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გააჩნიათ სხვებთან თანაბარი უფლებები და არ არიან ქველმოქმედების ობიექტები. მნიშვნელოვანია აღიარება, რომ „შეზღუდული შესაძლებლობა“ არის იდენტობის რამდენიმე ფენიდან ერთ-ერთი.

CRPD არის თანამედროვე მრავალჯერადი და ურთიერთდაკავშირებული დისკრიმინაციის აღიარების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ დისკრიმინაციის ეს ფორმები სულ უფრო მეტად არის აღიარებული, ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ქვეყნების უმეტესობა ჯერ კიდევ არ განიხილავს დისკრიმინაციის ფორმებს და დაუცველობას, რომლებსაც აწყდებიან შშმ ქალები და გოგონები ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესრულებისას. კონვენცია აღიარებს, რომ შშმ ქალები განიცდიან დისკრიმინაციის მრავალ ფორმას (მუხლი 6). იგი აღიარებს, რომ ქალები და გოგონები უფრო დაუცველები არიან ძალადობის კუთხით, რაც მოითხოვს შესაბამის ზომებს ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისთვის, რომელიც სენსიტიურია გენდერული და შეზღუდული შესაძლებლობის კუთხით, როდესაც საქმე ეხება

დახმარებას, დაცვას და მხარდაჭერას (მუხლი 16). 2015 წელს გამოქვეყნებულ გაეროს CRPD კომიტეტის ევრო კავშირისადმი მიმართულ საბოლოო დასკვნაში კომიტეტმა მოუწოდა ევროკავშირის შეუერთდეს სტამბოლის კონვენციას, როგორც შშმ ქალებისა და გოგონების ძალადობისგან დაცვის საშუალებას:

„კომიტეტი რეკომენდაციას უწევს, რომ ევროკავშირმა გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების და გოგონების ინტერესები მის შემდგომ სტრატეგიებში, პოლიტიკასა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით, ასევე გაითვალისწინოს გენდერული ასპექტები შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით საკუთარ სტრატეგიებში. კომიტეტი ასევე რეკომენდაციას უწევს ევროკავშირს, განავითაროს პოზიტიური ქმედებები შშმ ქალთა და გოგონების უფლებების გასაუმჯობესებლად, ჩამოაყალიბოს მექანიზმი წინსვლის მონიტორინგისა და შშმ ქალებისა და გოგონების შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და კვლევის დასაფინანსებლად. კომიტეტი დამატებით რეკომენდაციას უწევს ევროკავშირს, შეუერთდეს ევროპის საბჭოს კონვენციას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი შშმ ქალებსა და გოგონებზე ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. (პუნქტი 21)“

მიუხედავად იმისა, რომ CRPD გლობალურ ხასიათს ატარებს, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ასევე დაფიქსირდა პოზიტიური განვითარება ევროპაში ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტების სახით. ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენცია არის პირველი იურიდიულად სავალდებულო შეთანხმება და დღემდე ყველაზე ყოვლისმომცველი ევროპაში. სტამბოლის კონვენცია აღიარებს, რომ ქალების ზოგიერთი ჯგუფი, როგორცაა შშმ ქალები და გოგონები, ხშირად განიცდიან ძალადობის უფრო დიდ რისკს და მოუწოდებს ხელმომწერებს, უზრუნველყონ არა-დისკრიმინაცია და მიიღონ პოზიტიური ქმედება მათი კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სტამბოლის კონვენცია

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ (სტამბოლის კონვენცია) მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ და ხელმოსაწერად გაიხსნა სტამბოლში 2011 წლის 11 მაისს. კონვენცია ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს და აღიარებს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობას, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევას და დისკრიმინაციის ფორმას. ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ჰოლისტიკური მიდგომის უზრუნველსაყოფად, კონვენცია მიზნად ისახავს:

- ქალების დაცვას ძალადობის ყველა ფორმისგან;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთას და აღმოფხვრას;
- ქალსა და მამაკაცს შორის რეალური თანასწორობის ხელშეწყობას;
- ორგანიზაციების და სამართალდამცავი უწყებებისთვის დახმარების გაწევას ეფექტური თანამშრომლობისთვის ინტეგრირებული მიდგომის დანერგვის მიზნით.

იგი ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე სფეროზე, რაც ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ მთელი რიგი ზომები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. კონვენციას ხელი მოაწერა ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ, მაგრამ მათგან მხოლოდ 21-მა მოახდინა მისი რატიფიცირება (ავსტრია, ბელგია, ხორვატია, კვიპროსი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ირლანდია, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი). საერთო ჯამში, ევროპის საბჭოს 34 წევრმა ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, ხოლო 12 ქვეყანამ მოაწერა ხელი, მაგრამ არ მოახდინა რატიფიცირება.

მონაცემებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია გვთავაზობს მონაცემების შეგროვებას როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის ცალკეული ფაქტორების მიხედვით, ცალკეული მონაცემების საჭიროებაზე არსებული აქცენტი გაზიარებულია გაეროს CRPD კომიტეტის მიერ: ბევრ დასკვნით დებულებაში იგი ყურადღებას ამახვილებს შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ ხელმისაწვდომ მონაცემებში არსებულ ხარვეზებზე. ამ მნიშვნელოვან საკითხებს ხშირად ხვდება წინააღმდეგობა, რომელიც დაკავშირებულია მნიშვნელოვანი პერსონალური მონაცემების დაცვასთან, რადგან შეზღუდული შესაძლებლობა განიხილება, როგორც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სენსიტიური პერსონალური მონაცემები. ეს დამახასიათებელია შშმ ქალების მდგომარეობის შესახებ ხელმისაწვდომ მონაცემებში არსებული ხარვეზისთვის.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხედველობაში მიიღება შშმ ქალთა ძალადობის ურთიერთგამომრიცხავი გამოცდილება, ქალთა ორგანიზაციებმა მოუწოდეს GREVIO-ს მონიტორინგის პროცესისკენ (სტამბულის კონვენციის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი ექსპერტის ორგანო) მიდგომების გაძლიერების მიზნით:

- დაშლილი მონაცემების შეგროვების გაუმჯობესება და კვლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების გამოცდილების შესახებ ძალადობის და დაცვის, მხარდაჭერისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ;
- მეტი ცნობიერების შემუშავება, რომელიც ამაღლებს კამპანიებს და პრევენციულ ქმედებებს, რომლებიც მოიცავენ და/ან ფოკუსირდება შშმ ქალებზე;
- ხელმისაწვდომ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა, მათ შორის თავშესაფრების ხელმისაწვდომობა, რომელიც ითვალისწინებს შშმ ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს;
- ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდება ქალთა უფლებებისა და დანაშაულის შეტყობინებების შესახებ ფსიქო-სოციალური შეზღუდვის მქონე ქალებისთვის, ასევე ინტელექტუალური ან სენსორული შეზღუდვის მქონე ქალებისთვის;
- სამართალდამცავი ორგანოების და პოლიციის ძალების გადამზადება, რათა დახმარება გაუწიონ სენსორული თუ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალებს, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლნი, ან უზრუნველყონ შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებები ამ ქალებისთვის, ვერბალური კომუნიკაციის გარდა.

გამოცდილება COVID-19 პანდემიის დროს - ძალადობის თანმხლები პანდემია

2020 და 2021 წლები გახდა საიუბილეო ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისთვის ბრძოლის მრავალი საკვანძო მომენტის გამო: პეკინის დეკლარაცია, გაეროს CEDAW; კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. სამწუხაროდ, ეს წლები ასევე დაამახსოვრებდათ როგორც პანდემიური, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო და გამოიწვია ამდენი დანაკარგი და მწუხარება. COVID-19 პანდემიამ დამანგრეველი ზარალი მოიტანა მრავალი თვალსაზრისით. საშინლად გაიზარდა ოჯახური ძალადობის და პარტნიორთა ძალადობის შემთხვევების რაოდენობა, რამაც ხაზი გაუსვა დამხმარე სისტემების, თავშესაფრებისა და სატელეფონო ხაზების საჭიროებას, კარანტინის ან სამსახურის დაკარგვის გამო სახლებში დარჩენილი ქალებისთვის დახმარების გაწევის მიზნით. ეს უკვე აღიარებულია, რაც თავის მხრივ, დადებითია.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გასარკვევია, რესურსის რა ნაწილი, მოხმარდება საბოლოოდ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერ სერვისებს, რომელიც იხარჯება ამჟამად დანგრეული ეკონომიკის აღდგენის მცდელობისთვის. მთელს მსოფლიოში ქალთა მოძრაობების ამოცანას წარმოადგენს წინსვლა, რათა უზრუნველყონ, რომ აღდგენა თანაბრად სარგებელს მოუტანს ყველა ქალს.

ევროპის შშმ პირთა ფორუმი აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ პანდემიის ყველაზე დამანგრეველი შედეგები დაფიქსირდა სეგრეგაციულ საცხოვრებელ დაწესებულებებში, რომლებიც ინფექციის კერებად იქცნენ და, ამის მიუხედავად, ამ გარემოში მცხოვრები ადამიანები ხშირ შემთხვევაში იყვნენ უგულვლელყოფილნი ან დამცირებულნი ხელისუფლების მიერ, ისინი დარჩნენ დაუცველ მდგომარეობაში ან გადაუდებელი დახმარების გარეშე, რის შედეგადაც პანდემიით დაღუპულთა ნახევარი სწორედ ამ საცხოვრებელ დაწესებულებებში აღირიცხა. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე უკიდურესი იზოლაციით გამოწვეული მავნე ზემოქმედება, რომელსაც ბევრი შშმ პირი აწყდება ინფექციის თავიდან ასაცილებლად. COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების გამო, როგორცაა სოციალური დისტანცია, შშმ პირები უზარმაზარი სირთულეების და რისკების წინაშე დადგნენ, რომ მიეღოთ მხარდაჭერა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განსახორციელებლად, როგორცაა პირადი დახმარება, ზრუნვა, უსინათლო ადამიანებისთვის ტაქტილური ინტერპრეტაცია. იგივე ეხება შშმ პირთათვის გადაწყვეტი საჯარო და კერძო სერვისების შეწყვეტას პანდემიის გამო. პანდემიამ გააუარესა დისკრიმინაციის ფორმები მეტად მოწყვლადი ჯგუფების მიმართ, როგორცაა შშმ ქალები და გოგონები, ხანდაზმული შშმ პირები, შშმ პირები, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბეში და უსახლკაროდ, თავშესაფრის მაძიებლები და შშმ ლტოლვილები, LGBTIQ+ შშმ პირები და ციხეში ან ნებისმიერ დახურულ გარემოში მყოფი შშმ პირები.

ინკლუზიური და გამჭვირვალე აღდგენა

აღდგენისა და მდგრადობის ცენტრი (RRF)¹⁶ წარმოადგენს ევროკავშირის ძირითადი დაფინანსების COVID-19-ის პანდემიის სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედების შესამცირებელ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს 672.5 მილიარდ ევროს სახელმწიფო ინვესტიციებისა და რეფორმების მხარდასაჭერად, რათა წვერი სახელმწიფოების ეკონომიკა უფრო მდგრადი და უკეთ მომზადებული იყოს სამომავლოდ. აღნიშნული თანხის დახარჯვის გზას მეტწილად თავად წვერი სახელმწიფოები წყვეტენ და განსაზღვრავენ ეროვნულ გეგმებში (RRP) და წარუდგენენ კომისიას დასამტკიცებლად.

პანდემიამ მნიშვნელოვანი და არაპროპორციული გავლენა მოახდინა შშმ პირებზე მათი ცხოვრების ყველა სფეროში. შშმ პირებს აღენიშნებოდათ ინფიცირებისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები და იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანებს უარი ეთქვათ სასწრაფო დახმარებაზე მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო. შშმ პირებმა ასევე დაკარგეს სამუშაო ადგილები, შეფერხდა მათთვის საჭირო სერვისები, შეხვდათ დამატებითი დაბრკოლებები ხელმისაწვდომობის კუთხით და ვეღარ შეძლეს ონლაინ სწავლის გაგრძელება, როგორც ეს ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, არსებობს გადაუდებელი საჭიროება შშმ პირთათვის, რათა ჰქონდეთ წვდომა სამუშაოზე, ინკლუზიურ განათლებასა და სოციალურ დაცვაზე, რომელიც დაიცავს მათ სიღარიბისგან, განსაკუთრებით შშმ ქალების შემთხვევაში. RRF მხრიდან მხარდაჭერა უნიკალური შესაძლებლობაა:

- ინვესტირება ისეთ სფეროებში, როგორცაა ხელმისაწვდომი ტრანსპორტი და ICT, როგორც სოციალური და ეკონომიკური ჩართულობის ხელშემწყობი გზა ყველასთვის და მდგრადი განვითარებისთვის ევროპაში და გლობალურად;
- ინვესტირება სათემო სერვისების მიწოდებაში, რაც საშუალებას მისცემს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, იპოვონ სტაციონარული მკურნალობის ალტერნატივა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის რეფორმა, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოებაში უფრო მეტ ჩართულობას და პერსონალური დახმარებას;
- დარწმუნება, რომ რეფორმები, განსაკუთრებით ციფრული ფორმატირების სფეროში, როგორცაა ონლაინ სერვისებისკენ სწრაფვა, სრულად შეესაბამება ევროპის ხელმისაწვდომობის აქტის მოთხოვნებს;
- ციფრული სწავლების უზრუნველყოფა, რომელიც აშკარა პრიორიტეტად იქცევა ყველა სახის ფორმატის და საგანმანათლებლო მასალის გამოყენების კუთხით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების მიერ;
- პანდემიის შემდგომ ეკონომიკისათვის პრიორიტეტის მინიჭება, ტრენინგებსა და სამუშაო შესაძლებლობებში ინვესტირება მათთვის, ვინც ყველაზე მეტადაა გარიყული ღია შრომის ბაზრიდან;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამუშაო ადგილების შექმნა შრომის ღია ბაზარზე, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის;
- რეფორმების შემუშავება, რათა ანაზღაურებადი სამუშაო შეესაბამებოდეს უნარშეზღუდულობის შემწობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წინაშე არსებული სიღარიბის რისკის მნიშვნელოვანწილად შესამცირებლად

გადაწყვეტილებების მიღება: ცვლილებები დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისთვის

წინსვლისთვის გვესაჭიროება თანასწორობის ახალი მოდელი, რომელიც მიისწრაფვის ტრანსფორმაციული ან ინკლუზიური თანასწორობისკენ. ეს წარმოადგენს მოდელს, რომელიც აღიარებს, რომ ინდივიდები, ზოგადად, განიცდიან დისკრიმინაციას, როგორც ერთი (ან რამდენიმე) სოციალური ჯგუფის (ჯგუფების) წევრი და რომ ეს ჯგუფები არაერთგვაროვანია. ინკლუზიური თანასწორობა სტამბოლის კონვენციაში შემუშავებული თანასწორობის ახალი მოდელია. იგი მოიცავს თანასწორობის არსებით მოდელს და აფართოებს თანასწორობის მნიშვნელობას, აღიარებს სტიგმასთან, სტერეოტიპებთან, ცრურწმენებთან და ძალადობასთან ბრძოლის აუცილებლობას და ადამიანთა ღირსებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების დაფასებას. ასეთი რთული პრობლემა საჭიროებს მრავალმხრივი გადაწყვეტილებების მიღებას.

1. **საკანონმდებლო ცვლილება.** ერთი გზა არის კანონმდებლობის მეშვეობით: ჩვენ შეგვიძლია ვებრძოლოთ მრავალჯერად დისკრიმინაციას დისკრიმინაციული კანონების, პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუქმებით, რომლებიც ხელს უშლიან შშმ ქალებს, ისარგებლონ ადამიანის ყველა უფლებითა და ძირითადი თავისუფლებებით. ნებისმიერი არსებული კანონის, პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუქმება, რომელიც დისკრიმინაციას ახდენს ქალების მიმართ და ხელს უშლის მათ, ისარგებლონ ყველა უფლებით, მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია. ასევე საჭიროა შესაბამისი კანონების, პოლიტიკისა და ქმედებების გატარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას შშმ ქალთა პოლიტიკაში ჩართვა.
2. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მონაწილეობისა და ჩართულობის ბარიერების მოხსნა.** ცვლილებების განსახორციელებლად აუცილებელია კანონმდებლობის არსებობა, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არაა. ჩვენ ასევე უნდა მოვხსნათ ყველა ბარიერი, რომელიც ხელს უშლის ან ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მონაწილეობას და უზრუნველყოფით, რომ შშმ ქალები, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, ჩაერთონ ყველა პროგრამის ფორმულირებაში, განხორციელებაში და მონიტორინგში, რომელიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.
3. **გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის შემუშავება, გენდერული ბიუჯეტის ჩათვლით.** გენდერული პერსპექტივის გამოყენება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ეს მოითხოვს ახალ აზროვნებას, სხვა დანარჩენს შორის, ბიუჯეტის და რესურსების განაწილებაზე.

4. ტრენინგი პროფესიონალებისთვის სქესზე დაფუძნებული ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ. პროფესიონალთა ცნობიერების ამაღლება და გადამზადება შეტანილია თანასწორობის ხელშეწყობის მრავალ დოკუმენტში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა ძალადობის მსხვერპლმა მიიღოს ეფექტური მხარდაჭერა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იურისტების და სასამართლო სისტემების თანამშრომლების მომზადების კრილში.

წყარო <https://tinyurl.com/2p8jf9wd>

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი მომზადებულია ორგანიზაცია „ქალი და რეალობა“-ს მიერ. მისი მიზანია საქართველოს შშმ ქალებს გააცნოს შშმ ქალთა აქტივიზმის საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკა.

საინფორმაციო ფურცელის მომზადება მხარდაჭერილია პროექტის ფარგლებში, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა გაძლიერება შრომითი და ეკონომიკური უფლებების ადვოკატირების კუთხით“

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ქალთა ფონდი საქართველოში

